ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№01/03-03-038
SMP220001179

თბილისი **2022 წელი**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, წარმოდგენილი მისი დირექტორის **მოვალეობის შემსრულებლის ნინო მელაძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“);
მეორეს მხრივ – **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი”** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვას. (შემდგომში „მომსახურება“).

<u>გამარტივებული შესყიდვა -„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის და შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 08 აპრილის №LA LA 2 22 00010051 სამსახურეობრივი ბარათის საფუძვლებზე.</u>

(CPV – 85100000)

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **3200.00 (სამიათას ორასი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით **დღგ-ს გარდა.**
4.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულება წარმოდგენილია დანართი №1-ში.

<u>დაფინანსების წყარო:</u> 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს **2022 წლის 28 აპრილიდან ამავე წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით**; იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე.
5.2. მიმწოდებელმა უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად.
5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.4.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.5.შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1.მომსახურება შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტ(ებ)ის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1.მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს, **სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი ნათია პაჭკორია.**
7.2. 9.2 პუნქტის შესრულებისათვის, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.1. პუნქტში მითითებული პირი.

8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მომსახურება გაწეული იქნება მაღალხარისხოვნად და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშწორება, ეროვნულ ვალუტაში. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
9.2 ანარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების შემდეგ, ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულების მიხედვით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
10.4. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, ფინანსური სახსრების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. ხელშეკრულების 5.1 ან/და 8.1. პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 % ოდენობით.
13.2. იმ შემთხვევაში თუ 13.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადების მიცემის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.
13.4 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
13.5. პიგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე.
14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

16.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

შემსყიდველი:

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

_____

/ ნინო მელაძე /

LEPL Legal Aid Service
Digitally signed by LEPL Legal Aid Service
Date: 2022.04.27 14:24:36 +04'00'

თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140ა.
ტელ.: (+995 32) 292-00-55.

საქ/ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ს/კ 204534058

კოდი TRESGE22

ა/ა 707847519

მიმწოდებელი:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
გენერალური დირექტორის:

_____

/ლაშა კილაძის /

მის: თბილისი ქავთარაძის ქუჩის ჩიხი №2

ს/კ №404945164

ს/ს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: : TBCBGE 22

ა/ა №GE 05 TB 7810 4360 2010 0001

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2022.04.27 12:57:09 +04'00'

დანართი №1

№	მომსახურების დასახელება	მომსახურების ღირებულება	
1	ამბულ.სასამ.ფსიქ. ექსპერტიზა ორზე მეტი დამატ. საექსპერტო საკით. გადაწყ.	2400.00	
2	ფსიქოლოგიური ექსპერტიზა	800.00	
		ჯამი	**3200.00**